დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132. 1322431731**

თარიღი:**12/11/2024**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა." და ,,ე.ე." ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის N63 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: სოფ. ანანურში, მე-3 ქუჩის, I ჩიხი, N 3-ში მდებარე 234 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (უძრავი ქონების ს/კ 71.55.07.155) პრივატიზების მიზნით;

2. უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 52 050 (ორმოცდათორმეტი ათას ორმოცდაათი) ლარი;

3. ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის ,,ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს 5500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარით, ხოლო ,,ბიჯი"-ს ოდენობა 100 (ასი) ლარით;

4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად;

5. ბრძანება გამოქვეყნდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

ვასილ წიკლაური

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი